



დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
9 სექტემბერი, 2021

საკონტაქტო პირი
თბილისი: დიანა ჩაჩუა
dchachua@ndi.org,+995 577 779639
ვაშინგტონი: კლეიტონ მაკკლესკი
media@ndi.org

პარტიებს მოქალაქეთა საჭიროებებზე ფოკუსირებითა და დემოკრატიული პრინციპების დაცვით არჩევნების მიმართ ნდობის განმტკიცება შეუძლიათ

პოლიტიკური დაპირისპირება, რომელმაც ქართული პოლიტიკა სრულად მოიცვა, 30 წლის განმავლობაში მიღწეულ დემოკრატიულ პროგრესს საფრთხეს უქმნის

ვაშინგტონი – ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო ექსპერტების გუნდმა პოლიტიკურ პარტიებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან მაღალი დონის ონლაინ შეხვედრები გამართა. შეხვედრები მიზნად ისახავდა საქართველოს დემოკრატიული განვითარების, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას; ამასთან, გამოხატავდა საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინს, რომ საარჩევნო პროცესებში ჩართული ყველა სუბიექტი დემოკრატიული არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების ყველა პრინციპს დაიცავს.

გუნდს უძღვებოდნენ მადლენ ოლბრაიტი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი და NDI-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; ჰოვარდ დინი, ვერმონტის შტატის ყოფილი გუბერნატორი და NDI-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; პერ ეკლუნდი, ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოში; კენეთ უოლაკი, ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (NED) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და NDI-ის ყოფილი პრეზიდენტი. გუნდის სხვა წევრებს შორის იყვნენ აშშ-ის კონგრესისა და NDI-ის უფროსი წარმომადგენლები (იხ. დეტალური სია ბოლოში).

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველო რეგიონში სანიმუშო ადგილს იკავებდა, რასაც ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გატარებული დემოკრატიული რეფორმები ამყარებდა. ბოლოდროინდელი საარჩევნო რეფორმების შედეგად მიღებული სამართლებრივი ჩარჩო პროპორციულ წარმომადგენლობაზე და კონსენსუსზე ორიენტირებულ სისტემას უწყობს ხელს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოლიტიკურ პროცესებში საკვანძო და აქტიურ როლს თამაშობენ, რაც, სხვა ყველაფერთან ერთად, საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებზე მიუკერძოებელ დაკვირვებას გულისხმობს. აღსანიშნავია ისიც, რომ NDI-ის 2021 წლის თებერვლის საზოგადოების აზრის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას პოლიტიკური ლიდერების თანამშრომლობისა და დემოკრატიული მისწრაფებების განხორციელების იმედი აქვს.

“დემოკრატია მუდმივ პროგრესს მოითხოვს, ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენცია კი ნებისმიერი დემოკრატიული სისტემის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია,” - განაცხადა მაღლენ ოლბრაიტმა, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, - “სამწუხაროდ, დესტრუქციული პოლიტიკური მეტოქეობა ქვეყანას, ინსტიტუტებსა და მოქალაქეებს ზიანს აყენებს. დემოკრატიის გასაძლიერებლად აუცილებელია დიალოგი, ჩართულობა და კომპრომისი. ქართველ ხალხსა და საერთაშორისო საზოგადოებას ქვეყნისთვის მაღალი სტანდარტები აქვთ დაწესებული.”

საქართველოში 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება. გახანგრძლივებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა და სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიისკენ მიმართულმა შეტევებმა საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებაში შეშფოთება გამოიწვია და დემოკრატიული, ევროპული და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების ერთგულების მიმართ კითხვები გააჩინა. NDI-ის 2021 წლის ივლისის საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს. 19 აპრილის შეთანხმების დარღვევამ, რასაც მნიშვნელოვანი რეფორმები უნდა უზრუნველყო, კიდევ უფრო გაამყარა ეს განწყობა. წლებადელი არჩევნები საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს შესაძლებლობას აძლევს, რომ დემოკრატიული პრინციპების დაცვითა და მოქალაქეების საჭიროებებზე ყურადღების გამახვილებით საქართველოს დემოკრატიული მისწრაფებებისადმი თავიანთი ერთგულება დაამტკიცონ.

“კონსტრუქციული დიალოგი პასუხისმგებლიანი და წარმომადგენლობითი მმართველი სისტემის აუცილებელი კომპონენტია. ქართულ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე თავდასხმები სრულიად მიუღებელია”, - თქვა ყოფილმა გუბერნატორმა ჰოვარდ დინმა, - “მთავრობამ იმ ჯგუფების პასუხისმგებლობა უნდა უზრუნველყოს, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობას, მათ შორის დამოუკიდებელ მონიტორინგს, საარჩევნო პროცესების ანალიზსა და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მოსაზრებების გაჟღერებას. ეს მმართველ გუნდად ყოფნის ტვირთია.”

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო და ადმინისტრაცია უმეტესწილად გამართულია, NDI-ის შეხვედრებზე რამდენიმე გამოწვევა გამოიკვეთა, რომელთა დიდი ნაწილი წინა არჩევნებისა და მთავრობების დროსაც არსებობდა. საარჩევნო კამპანია არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გააქტიურდება, თუმცა დღეისათვის ყველა პარტია არ აკეთებს საკმარის მოქალაქეებთან შესახვედრად და მათ საჭიროებებზე სასაუბროდ. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის პოლიტიკური დებატების ნაკლებობა შეინიშნება, რაც მოქალაქეებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უზღუდავს. შეხვედრების მონაწილეებმა საარჩევნო რეგულაციების არასრული ან შერჩევითი აღსრულების, სახელმწიფო რესურსებისა და პროკურატურის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებაც გამოთქვეს შეშფოთება. 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა შეშფოთება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის თავისუფლად მოქმედებისა და განსხვავებული შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობების შეზღუდვისა და ოპოზიციური პარტიების შევიწროებისა და დაშინების გამო. ამ ფუნდამენტური თავისუფლებების დაუცველობამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს არჩევნებისადმი ნდობას. მიუხედავად ამისა, ყველა პოლიტიკურ პარტიასა და საარჩევნო კანდიდატს საარჩევნო პროცესებში კეთილსინდისიერი მონაწილეობა ევალება. რეგიონში არასტაბილურობისა და მსოფლიოში ავტორიტარიზმის ზრდის ფონზე, აუცილებელია ამ საკითხების გადაწყვეტა, რათა გამყარდეს საქართველოს პოზიცია ევროპული ერების ოჯახში, გაძლიერდეს უსაფრთხოება და გაძლიერდეს ტრანსატლანტიკური პარტნიორობა.

“სამწუხაროდ, საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები ახალი არ არის. ეს პრობლემები ქვეყანას სხვადასხვა მთავრობების დროს აწუხებდა,” - აღნიშნა ელჩმა პერ ეკლუნდმა, - ”ყველა პოლიტიკური ლიდერის პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს, რომ ეს გამოწვევები მომავალ ადმინისტრაციებსაც არ გადაეცეს. მიუხედავად იმისა, რომ მმართველ პარტიას ლიდერობის უფრო დიდი ტვირთი აქვს, ოპოზიციური პარტიებიც კეთილსინდისიერად უნდა ჩაერთონ ამ პროცესებში.”

არჩევნების დღემდე დაახლოებით სამი კვირით ადრე, საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით, NDI გათავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების გაძლიერებას:

- ყველა ჩართულმა მხარემ პატივი უნდა სცეს საარჩევნო დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების უფლებას, რომ თავიანთი საზედამხედველო საქმიანობა თავისუფალ და უსაფრთხო გარემოში განახორციელონ. ასევე, დაცული უნდა იყოს იმ პირების უფლებები, რომლებიც კამპანიისა და ხმის მიცემის პროცესებში არიან ჩართულნი. მთავრობამ ამ უფლებების დასაცავად სამართალდამცავი ორგანოების სათანადო მომზადება და აღჭურვა უნდა უზრუნველყოს.
- ხელისუფლებამ ძალადობის, დაშინების და ამომრჩეველთა მოსყიდვის სავარაუდო შემთხვევებზე სწრაფი და საფუძვლიანი გამოძიება უნდა ჩაატაროს და დამნაშავეების პასუხისგებაში დროული მიცემა უზრუნველყოს.
- საარჩევნო ადმინისტრაციამ დამატებითი ძალისხმევა უნდა გასწიოს, რათა მიღებული საჩივრები სწრაფად, გამჭვირვალედ და სათანადოდ განიხილოს, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამისი დამატებითი ნაბიჯები გადადგას.
- ყველა პარტიის მხარდამჭერმა თავი უნდა შეიკავოს პოლიტიკური ძალადობისა და დაშინებისგან. პოლიტიკურმა პარტიებმა დროულად უნდა შემოიღონ და გამოიყენონ შიდა სანქციები მათთვის, ვინც ამ პრინციპებს დაარღვევს.
- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა აწარმოონ საკითხებზე დაფუძნებული, მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული კამპანიები და გამოიყენონ მაუწყებლების მიერ შეთავაზებული ყველა შესაძლებლობა, რათა ჩაერთონ დებატებში და საზოგადოებას თავიანთი პოლიტიკის დღის წესრიგი წარუდგინონ.
- არჩევნებამდე, არჩევნების განმავლობაში და შემდეგ, ყველა პარტიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებში და კონსტრუქციული დიალოგის გზით რეფორმების გატარებას შეუწყოს ხელი, რაც 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით იქნება განპირობებული. ასეთმა კურსმა, შესაძლოა, დაარწმუნოს ამომრჩეველი, რომ მოახლოებული არჩევნები ნამდვილი პოლიტიკური რეფორმების საწყისი იქნება.

NDI საქართველოში 1995 წლიდან მუშაობს და როგორც საქართველოს დიდი ხნის მეგობარი, კვლავაც მხარს უჭერს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. NDI გააგრძელებს არჩევნების დღემდე და მის შემდეგ ადგილზე განვითარებული მოვლენების ყურადღებით შეფასებას. ზემოთაღნიშნული შეხვედრები 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის NDI-ის მრავალკომპონენტური პროგრამის პირველ ფაზას წარმოადგენდა. 6 სექტემბერს NDI-მ მცირე გრძელვადიანი შეფასების მისიის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ განაცხადა. NDI-ის გრძელვადიანი ანალიტიკოსები რამდენიმე ძირითად თემაზე გაამახვილებენ ყურადღებას, მათ შორის არჩევნების ადმინისტრირება, საარჩევნო კამპანიები, საინფორმაციო გარემო, გენდერისა და ინკლუზიის საკითხები. სექტემბრის ბოლოს NDI ამ კვირაში ჩატარებული მაღალი დონის

შეხვედრებზე განხილული საკითხების მორიგ მოკვლევას განახორციელებს, რათა არჩევნების დღისთვის მათი პროგრესი შეაფასოს.

###

NDI-ს სურს მადლობა გადაუხადოს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც მხარი დაუჭირა (ონლაინ) მაღალი დონის შეხვედრებს არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების გაძლიერების კონსორციუმის (CEPPS) ფარგლებში.

სახელმწიფო მდივან ოლბრაიტის, გუბერნატორ დინის, ელჩ ეკლუნდისა და კენეტ ვოლოკის გარდა, ჩვენი გუნდის წევრები იყვნენ: ემი ინგლიში, სენატორ ჯინ შაჰინის ოფისის საგარეო პოლიტიკის უფროსი მრჩეველი; ჰანა თობორნი, აშშ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის უფროსი სპეციალისტი; კეტ კოსგროვი, კონგრესმენ ჯერალდ კონოლის უფროსი საკანონმდებლო თანაშემწე; ბენჯამინ კუპერი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წარმომადგენელი, ევროპის, ენერჯო, გარემოსდაცვითი და კიბერუსაფრთხოების საკითხების ქვეკომიტეტიდან; მელისა მუსიო, NDI ევრაზიის რეგიონალური თანადირექტორის მოვალეობის შემსრულებელი; პეტ მერლო, NDI საარჩევნო პროგრამების დირექტორი; და ალან გილამი, NDI საქართველოს ოფისის დირექტორი.

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში პარტნიორებთან ერთად მუშაობს, რომ გააძლიეროს და დაიცვას დემოკრატიული ინსტიტუტები, პროცესები, ნორმები და ღირებულებები, რათა ყველასთვის ცხოვრების უკეთესი ხარისხი უზრუნველყოს. NDI მსოფლიოს ხედავს როგორც ადგილს, სადაც დემოკრატია და თავისუფლება იმარჯვებს და ყველას ღირსება დაცულია.